ევროკავშირი
საქართველოსთვის

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

სასამართლო აქტების პროაქტიული გამოქვეყნება

კანონმდებლობა და პრაქტიკა

2024

ევროკავშირი საქართველოსთვის

IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ეს პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „სასამართლო რეფორმების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისა და ჩართულობის ხელშეწყობა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მრავალმხრივი ქმედებით ფასილიტაცია“ ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

სარჩევი

შესავალი **4**

კვლევის მეთოდები და ფარგლები **5**

მიგნებები **7**

1. სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნება - არსებული მიდგომების ზოგადი მიმოხილვა **8**

1.1. სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების მნიშვნელობა 8

1.2. სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების საჭიროების მიმართება პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებასთან 10

1.3. არსებული გამოცდილებებისა და მიდგომების მიმოხილვა 12

2. სასამართლო აქტების გამოქვეყნება საერთო სასამართლოებში - საკითხის ნორმატიული მოწესრიგება ეროვნული კანონმდებლობით **18**

2.1. სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ვალდებულება ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმებში 18

2.2. ნორმატიული მოწესრიგება 2023-2024 წლების საკანონმდებლო ცვლილებებამდე 20

2.3. 2023-2024 წლების საკანონმდებლო ცვლილებები 22

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანონისმიერი ვალდებულების სისტემატური უგულებელყოფა **26**

3.1. საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების ერთიანი საძიებო სისტემა 26

3.1.1. IDFI-ს მიმდინარე სასამართლო დავა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინააღმდეგ 30

3.2. საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების საძიებო სისტემის მახასიათებლები 31

შეჯამება **35**

შესავალი

სასამართლო აქტებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობა ხელს უწყობს როგორც ინფორმაციის თავისუფლებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებას, ასევე თავად სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და მის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ზრდას.

სამწუხაროდ, წლებია, საქართველოში, სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა ერთ-ერთ არსებით გამოწვევას წარმოადგენს, რაც დასტურდება იმითაც, რომ ღია სასამართლო სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საკითხი ჯერ 19 აპრილის ე.წ. „შარლ მიშელის შეთანხმებამ"[1] გაითვალისწინა, შემდგომ კი, სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა ევროკომისიის მიერ 2022 წლის 17 ივნისს საქართველოსთვის განსაზღვრული პრიორიტეტების აღსრულების ერთ-ერთ ელემენტად განისაზღვრა.[2]

როგორც საჯარო ინფორმაციის სახით სასამართლო აქტის მიღება, ასევე გამოქვეყნება საერთო ჯამში სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის მიღწევის არსებითი ინსტრუმენტებია, თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის ეს ორი მეთოდი ერთმანეთისგან განსხვავდება - განსხვავებულად წესრიგდება ნორმატიულ დონეზე და ამ მოწესრიგებას საქართველოში მოვლენათა განსხვავებული ქრონოლოგია ახლდა წინ.

წინამდებარე დოკუმენტი შეეხება სასამართლო აქტების პროაქტიულ გამოქვეყნებას და ამ თვალსაზრისით აანალიზებს, როგორც საერთაშორისო გამოცდილებასა და მიდგომებს, ასევე ეროვნულ ნორმატიულ ჩარჩოსა და პრაქტიკას.

დოკუმენტის დასაწყისში ხელმისაწვდომია ინფორმაცია კვლევის მეთოდებისა და ფარგლების შესახებ, ამავდროულად გამოყოფილია დოკუმენტზე მუშაობის

[1] სამომავლო გზა საქართველოსთვის, 2021, გვ. 5, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

[2] იხ. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2024 წლიდან სასამართლოს გადაწყვეტილებები კვლავ ხელმისაწვდომი გახდება: პრობლემისა და მათი გადაწყვეტის ქრონოლოგიის მიმოხილვა, 2023, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

შედეგად გამოვლენილი ძირითადი მიგნებები. ანგარიშის პირველი თავი ეთმობა სასამართლო აქტების პროაქტიული ხელმისაწვდომობის მნიშვნელობის, პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებასთან ურთიერთმიმართებისა და საერთაშორისო მიდგომების მიმოხილვას, ხოლო შემდგომი ნაწილები აანალიზებს საქართველოში არსებულ ნორმატიულ მოწესრიგებას და ავლენს პრაქტიკაში კანონმდებლობის აღუსრულებლობის თვალსაზრისით არსებულ სისტემურ გამოწვევებს.

კვლევის მეთოდები და ფარგლები

შინაარსობრივი და დროითი ფარგლები: წინამდებარე დოკუმენტი შეეხება სასამართლო აქტების პროაქტიულ გამოქვეყნებასა და მასთან დაკავშირებულ თანმდევ საკითხებს, ის არ ფარავს საჯარო ინფორმაციის სახით სასამართლო აქტების გამოთხოვასთან დაკავშირებულ ასპექტებს.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო აქტების გამოქვეყნება ერთიან საძიებო სისტემაში კვლავაც არ განახლებულა, IDFI-მ მაინც შეისწავლა ecd.court.ge-ზე არსებული საძიებო სისტემის ზოგიერთი ფუნქციონალური მახასიათებელი.

დოკუმენტში ასახული შეფასებები, მიგნებები და რეკომენდაციები ეყრდნობა 2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით არსებულ მდგომარეობას.

კვლევის მეთოდები: დოკუმენტზე მუშაობისას IDFI-მ ინფორმაციის მოძიების შემდეგი მეთოდები და წყაროები გამოიყენა:

1. საერთაშორისო რეკომენდაციების/სახელმძღვანელო პრინციპებისა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების გამოცდილებების ანალიზი - ამ მხრივ IDFI-მ მოიძია და გაანალიზა ევროკომისიის, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის და ვენეციის კომისიის ის დოკუმენტები, რომლებიც სასამართლო აქტების გამოქვეყნებას შეეხება და ამ დოკუმენტებში ასახული რეკომენდაციები/მიდგომები მათ შორის გამოიყენა ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შეფასებისას; ამავდროულად, IDFI-მ მოიძია და დაამუშავა ინფორმაცია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში სასამართლო აქტების გამოქვეყნების თვალსაზრისით არსებული გამოცდილებების შესახებ;

2. ეროვნული კანონმდებლობის ანალიზი - დოკუმენტში გაანალიზებულია სასამართლოს აქტების პროაქტიულ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით 2017 წლიდან 2024 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით არსებული ძირითადი საკანონმდებლო ჩარჩო;

3. კანონქვემდებარე აქტების ანალიზი - ანგარიში, მათ შორის, დაეყრდნო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილებისა და საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2019 წლის 7 მარტის ბრძანების ანალიზს;

4. ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმების ანალიზი - დოკუმენტში გაანალიზებულია სხვადასხვა პერიოდში მიღებული ღია მმართველობა საქართველოს ის სამოქმედო გეგმები, რომლებიც მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილებების/აქტების გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს ითვალისწინებს;

5. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა და ანალიზი - დოკუმენტში ასახულია ინფორმაცია და შედეგები, სასამართლო აქტების გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, IDFI-ს მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის შესახებ;

6. ecd.court.ge-ზე განთავსებული გადაწყვეტილების საძიებო სისტემის მონიტორინგი - დოკუმენტის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს პრაქტიკაში, სასამართლო აქტების გამოქვეყნების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შეფასება. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით, ინფორმაციის მიღების ერთ-ერთ წყაროს ეს ვებ. გვერდი წარმოადგენდა;

7. სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობასთან დაკავ-შირებით IDFI-ს წინარე ანგარიშები და შეფასებები - სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის საკითხზე IDFI-ს 2015 წლიდან არაერთი ანგარიში და შეფასება აქვს მომზადებული და გამოქვეყნებული. შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტის მომზადებისას, ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს სწორედ ეს დოკუმენტები და მათში ასახული შეფასებები წარმოადგენდა.

მიგნებები

- 2023-2024 წლების საკანონმდებლო ცვლილებებით დადგინდა არა მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებების, არამედ ზოგადად სასამართლო აქტების გამოქვეყნების ვალდებულება;
- 2024 წლის 29 მაისის საკანონმდებლო ცვლილებებით სასამართლო აქტის გამოქვეყნების წინაპირობას აღარ წარმოადგენს შესაბამის საქმეზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რაც აუმჯობესებს ამ საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგებას;
- პრაქტიკაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ აღასრულებს კანონმდებლობას და სასამართლო აქტების რეალური ხელმისაწვდომობა კვლავ სისტემურ გამოწვევად რჩება;
- ახალი საკანონმდებლო რეგულირების ამოქმედების მიუხედავად, ვებგვერდზე (ecd.court.ge) სასამართლო აქტების გამოქვეყნება არ განახლებულა;
- 2020 წლის მაისამდე გამოქვეყნებულ აქტებსა და ecd.court.ge-ს საძიებო ფუნქციონალზე დაკვირვება მიუთითებს, რომ არსებული სისტემა მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდება;
- ხელმისაწვდომი არ არის ინფორმაცია იმის შესახებ გადადგა თუ არა იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ქმედითი ნაბიჯები კანონმდებლობის აღსრულების უზრუნველსაყოფად;
- ხელმისაწვდომი არ არის ინფორმაცია, მოიყვანა თუ არა იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილებების პროაქტიულ გამოქვეყნებას აწესრიგებს, საკანონდებლო ცვლილებებთან შესაბამისობაში;
- საერთო სასამართლოების სისტემიდან მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლო უზრუნველყოფს საკუთარი გადაწყვეტილებების დეპერსონალიზებული ტექსტების პროაქტიულ ხელმისაწვდომობას მისივე ელექტრონულ პლატფორმაზე.

1. სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნება - არსებული მიდგომების ზოგადი მიმოხილვა

სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების მნიშვნელობასა და სასამართლო სისტემის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებასთან ამ საკითხის ურთიერთმიმართებაზე არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი ამახვილებს ყურადღებას.

შეიძლება ითქვას, რომ, ერთი მხრივ, სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების საჭიროებაზე ფართო კონსესუსი არსებობს, თუმცა მეორე მხრივ იურისდიქციების მიხედვით განსხვავებულია ამ საკითხის გარკვეული ასპექტების მოწესრიგებასთან მიმართებით არსებული მიდგომები. სხვადასხვაგვარი მიდგომების არსებობის მიუხედავად ჩამოყალიბებულია სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც დაცული უნდა იქნას ამ პროცესში და ასევე ინდიკატორები, რომელთა მიხედვითაც ფასდება სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების პრაქტიკული კომპონენტებიც.

წინამდებარე თავის მიზანს წარმოადგენს ყურადღება გაამახვილოს სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ფართოდ აღიარებულ მნიშვნელობაზე და იმ პრინციპებსა და ინდიკატორებზე, რომელთა შესახებაც მსჯელობა თან უნდა ახლდეს ამ პროცესთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებას.

1.1. სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების მნიშვნელობა

სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნებას საკვანძო მნიშვნელობა აქვს მართლმსაჯულების სისტემის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად და ეს საკითხი მჭიდროდ უკავშირდება მართლმსაჯულების ღიაობის პრინციპსა და ღია მონაცემების კონცეფციას.[3] ამავდროულად, სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნება ზრდის და თავის მხრივ

[3] The Council of Europe’s points for consideration, Publication of judicial decisions, 2023, გვ. 9, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

ამარტივებს საზოგადოებრივ კონტროლს და საბოლოო ჯამში ხელს უწყობს კანონის უზენაესობას.[4]

სასამართლო პროცესების მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის არსებობა უდავოა.[5] ამავდროულად, უდავოა, საჯარო პირების, პოლიტიკოსებისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების ქმედებებზე საზოგადოებრივი კონტროლის საჭიროება.[6] სასამართლო გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობა გავლენას ახდენს სახელმწიფო უწყებებისა და სასამართლოს მიმართ საზოგადოებრივ ნდობაზე.[7] ამასთანავე, სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნებამ, საზოგადოებრივმა კონტროლმა და ანალიზმა, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებების ხარისხის გაუმჯობესებაზე.[8]

სასამართლო გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საკითხები ასახულია ვენეციის კომისიის „კანონის უზენაესობის საკონტროლო სიაში" (Rule of Law Checklist), სადაც აღნიშნულია, რომ რადგან სასამართლო გადაწყვეტილებები, მათ შორის აზუსტებს, განმარტავს კანონმდებლობას, მათი ხელმისაწვდომობა სამართლებრივი განჭვრეტადობის (legal certainty) ნაწილია.[9] სამართლებრივი განჭვრეტადობა თავის მხრივ წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთ ელემენტს.[10]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილებებზე ონლაინ ხელმისაწვდომობა წარმოადგენს ერთ-ერთ ინდიკატორს, ევროკავშირის მიერ მართლმსაჯულების გაციფრულების მაჩვენებლის განსაზღვრისას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სასამართლოების საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდასა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას.[11]

---

[4] იქვე, გვ. 13.
[5] იქვე, გვ. 14.
[6] იქვე, გვ. 14.
[7] იქვე, გვ. 14.
[8] იქვე, გვ. 14.
[9] European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Rule of Law Checklist, 2016, გვ. 25, ხელმისაწდვომია შემდეგ ბმულზე.
[10] The Council of Europe's points for consideration, Publication of judicial decisions, 2023, გვ. 13, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.
[11] იქვე, გვ. 17.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ერთ-ერთი რეკომენდაციის თანახმად, რომელიც ჯერ კიდევ 1995 წელს იქნა მიღებული, ავტომატიზებული საძიებო სისტემების ფუნქციონირების მიზნებს შორის არის:[12]

- სამართლის სფეროში მომუშავე პირების ხელშეწყობა სრული და განახლებული ინფორმაციის მიწოდებით;
- სამართლებრივი საკითხებით პირდაპირ ან ირიბად დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის ინფორმაციის მიწოდება;
- სასამართლო გადაწყვეტილებების დროული ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, რომლებშიც კანონმდებლობა ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა;
- დიდი ოდენობის სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა, როგორც სამართლებრივი საკითხების, ასევე ფაქტების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით (მაგალითად, დაკისრებული კომპენსაციის ოდენობა, განსაზღვრული სასჯელის ხანგრძლივობა და სხვა);
- კანონმდებლებისთვის კანონის პრაქტიკაში გამოყენების ასპექტების გაანალიზებისთვის შესაძლებლობის მიცემა;
- იურისპრუდენციის კვლევის ხელშეწყობა;
- სტატისტიკური მონაცემების დამუშავების მიზნებისათვის, ინფორმაციით უზრუნველყოფა.

1.2. სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების საჭიროების მიმართება პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებასთან

სასამართლო აქტების გამოქვეყნების მნიშვნელობასთან ერთად მხედველობაშია მისაღები ასევე ის გარემოება, რომ უმეტეს შემთხვევაში სასამართლო აქტები შეიცავს არაერთ პერსონალურ მონაცემს, რიგ შემთხვევაში კი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებსაც.

[12] Council of Europe Committe of Minister, Recommendation No. R (95) 11 concerning the selection, processing, presentation and archiving of court decisions in legal information retrieval system, 1995, გვ. 2, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

ზოგადად პერსონალური მონაცემების ცნება მოიცავს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც ეხება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ინდივიდს.[13] უკანასკნელში მოიაზრება ფიზიკური პირი, რომელიც იდენტიფიცირებადია პირდაპირ ან ირიბად.[14] რაც შეეხება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, მისი სხვადასხვაგვარი განმარტება არსებობს, თუმცა ზოგადად, ეს ტერმინი მიემართება იმ მონაცემებს, რომლებიც მათი მნიშვნელობიდან/ღირებულებიდან გამომდინარე საჭიროებს დაცვის სპეციალურ რეჟიმში მოქცევას.[15] განსაკუთრებულ კატეგორიას მიკუთვნებული მონაცემების მაგალითებს წარმოადგენს გენეტიკური და ბიომეტრიული მონაცემები, მონაცემი, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ, ფილოსოფიურ ან სხვაგვარ მრწამსს, ჯანმრთელობას, და სხვა.[16]

პერსონალური მონაცემების დაცვა პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლების ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს, შესაბამისად, ნებისმიერი გამონაკლისი და დაწესებული შეზღუდვა უნდა იყოს გათვალისწინებული ეროვნული კანონმდებლობით, დასახული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში.[17] ამგვარად, უნდა არსებობდეს ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო სასამართლო აქტების გამოქვეყნების პროცესში პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველსაყოფად.[18]

ამასთანავე, საგულისხმოა, რომ ანონიმიზაცია და ფსევდონიმიზაცია წარმოადგენს ორ ერთმანეთისგან განსხვავებულ მიდგომას, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა იურისდიქციაში პერსონალური მონაცემების დასაცავად იმგვარად, რომ დაკმაყოფილებულ იქნას საზოგადოებრივი მოთხოვნა სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობისა და

[13] The Council of Europe’s points for consideration, Publication of judicial decisions, 2023, გვ. 24. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.
[14] იქვე, გვ. 24.
[15] იქვე, გვ. 24.
[16] იქვე, გვ. 25.
[17] იქვე, გვ. 12.
[18] იქვე, გვ. 27.

სასამართლო პროცედურების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.[19]

ფსევდონიმიზირებული მიდგომის გამოყენების შემთხვევაში, არ ხდება მონაცემების მიკუთვნება ამა თუ ინდივიდისადმი (მონაცემთა სუბიექტი) დამატებითი ინფორმაციის გამოყენების გარეშე, რომელიც ინახება ცალკე.[20] მიუხედავად იმისა, რომ მონაცემთა სუბიექტი საზოგადოებისთვის უცნობია, ცალკე შენახული დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე, მისი ხელახალი იდენტიფიკაცია ჯერ კიდევ შესაძლებელია, შესაბამისად ამ მიდგომაზე ვრცელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის რეჟიმი. [21]

ფსევდონიმიზირებული მონაცემებისგან განსხვავებით, ანონიმიზირებული მონაცემების შემთხვევაში, პერსონალური მონაცემები აღარ შეიძლება იქნას გამოყენებული ამ სუბიექტის იდენტიფიცირებისთვის, სხვა სიტყვებით ხელახალი იდენტიფიცირება შესაძლებელი არ არის.[22] შესაბამისად, ამ მიდგომაზე არ ვრცელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის რეჟიმი.[23]

იმის გამოვლენა ამა თუ იმ ჯგუფს აქვს თუ არა თავისი პერსონალური მონაცემების ანონიმიზაციის/ფსევდონიმიზაციის უფლება დამოკიდებულია ინტერესთა სამართლიან დაბალანსებაზე, რაც სპეციალური საკანონმდებლო ჩარჩოთი უნდა მოწესრიგდეს.[24]

1.3. არსებული გამოცდილებებისა და მიდგომების მიმოხილვა

შეიძლება ითქვას, რომ იურისდიქციების მიხედვით განსხვავებული მიდგომა არსებობს სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ფარგლებთან, გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ უწყებებთან და სხვა ასპექტებთან მიმართებით.[25] მიუხედავად ამისა, არაერთი დოკუმენტი მიუთითებს ერთი მხრივ ამ პროცესის სახელმძღვანელო პრინციპებზე და მეორე მხრივ იმ

[19] იქვე, გვ. 43
[20] იქვე, გვ. 44.
[21] იქვე, გვ. 44.
[22] იქვე, გვ. 44.
[23] იქვე, გვ. 44
[24] იქვე, გვ. 45.
[25] იქვე, გვ. 17-21.

ინდიკატორებზე, რომლითაც ფასდება პრაქტიკაში სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა.

საგულისხმოა, რომ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ერთ-ერთი რეკომენდაცია განსაზღვრავს იმ პრინციპებს, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შესაბამისი იურისდიქციების მიერ სამართლებრივი ინფორმაციის გამოქვეყნებისას.[26] ამავე რეკომენდაციის თანახმად, ტერმინი „სამართლებრივი ინფორმაცია" მოიცავს კანონმდებლობას, რეგულაციებს, იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების/შეთანხმებების ოფიციალურ ტექსტებს, რომელთა ხელშემკვრელი მხარეა შესაბამისი სახელმწიფო, სასამართლოს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს.[27] ამ პრინციპების თანახმად:[28]

- სახელმწიფოებმა კანონმდებლობის ოფიციალური ტექსტები და მნიშვ-ნელოვანი სასამართლოს გადაწყვეტილებები უნდა გახადონ მარტივად ხელმისაწვდომი, ელექტრონული ფორმით;
- ნებისმიერი კანონმდებლობა, მათ შორის რეგულაციები, სასამართლო პრაქტიკა (case law) და საპარლამენტო მასალები უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველასათვის;
- ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად საჯარო სამართლებრივი ინფორმაციული სისტემები უნდა იყოს განახლებული და ინფორმაცია უნდა ქვეყნდებოდეს დაყოვნების გარეშე. დაუყოვნებლობა არის საკვანძო მნიშვნელობის სასამართლო გადაწყვეტილებებთან მიმართებით;
- უნდა არსებობდეს მკაცრი ხარისხობრივი საზედამხედველო პროცედურები, რათა უზრუნველყოფილ იქნას ელექტრონული ფორმით გამოქვეყნებული ტექსტების იდენტურობა მიღებულ ტექსტებთან მიმართებით;
- ელექტრონული ტექსტების ავთენტურობა უზრუნველყოფილ უნდა იქნას შესაბამისი საშუალებებით, როგორიცაა ელექტრონული/ციფრული ხელმოწერა;
- მიუხედავად იმისა, რომ უმეტეს ქვეყანაში სამართლებრივ ტექსტებზე საავტორო უფლებები არ ვრცელდება, სახელმწიფოს ვალდებულებას

[26] Recommendation Rec(2001)3 of the Committee of Ministers to member states on the delivery of court and other legal services to the citizen through the use of new technologies, 2001, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.
[27] იქვე, პარ. 4.
[28] იქვე, პარ. 4

წარმოადგენს ტექსტების სისწორის უზრუნველყოფა. იმ შემთხვევაში თუ ოფიციალურ ტექსტების რეპროდუცირებას ახდენს კერძო გამომცემელი, უნდა მიეთითოს წყარო და ტექსტის სისწორეზე პასუხისმგებელია გამომცემელი;

- ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია საჯარო გამომცემელი;
- სამართლებრივი მონაცემების ხელმისაწვდომობა, ოფიციალურ სამართლებრივ ტექსტებთან მიმართებით, როგორც წესი, უნდა იყოს მოსაკრებლისგან თავისუფალი;
- სასამართლო გადაწყვეტილებებში მხარეთა ანონიმურობის საკითხი განსხვავებულია ამა თუ იმ ქვეყანაში, შესაბამისად, რეკომენდაცია მიუთითებს, რომ შესაძლოა საჭირო გახდეს ამ საკითხის ევროპულ კონტექსტში განხილვა.

რაც შეეხება სხვა ქვეყნებში არსებული პრაქტიკის შეფასებას, მაგალითად, ევროკომისია ამზადებს დოკუმენტს (ევროკავშირის მართლმსაჯულების მონაცემთა დაფა/EU JUSTICE SCOREBOARD), რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირისა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მხარდაჭერას, ეროვნული მართლმსაჯულების სისტემების ეფექტიანობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.[29] დოკუმენტი შეიცავს მონაცემებს სხვადასხვა ინდიკატორთან მიმართებით, რათა შეფასდეს მართლმსაჯულების სისტემის ეფექტიანობა, ხარისხი და დამოუკიდებლობა.[30] ამ დოკუმენტის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილებებზე ონლაინ ხელმისაწვდომობა მათ შორის ზრდის მართლმსაჯულების სისტემის გამჭვირვალობას.[31] ამავდროულად, გადაწყვეტილებების გამოქვეყნების თვალსაზრისით, დოკუმენტი მიუთითებს შესაბამისი ზომების მიღების საჭიროებაზე, რათა საძიებო სისტემები იყოს მომხმარებელზე ორიენტირებული და სასამართლო პრაქტიკა იყოს უფრო მეტად ხელმისაწვდომი სამართლის სფეროში მომუშავე პირებისთვის და

[29] Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Central Bank, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions COM (2024) 950, 2024, EU Justice Scoreboard, გვ. 2, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.
[30] იქვე, გვ. 2.
[31] იქვე, გვ. 39.

ფართო საზოგადოებისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.[32]

2024 წელს გამოცემული დოკუმენტის თანახმად, რომელიც თავის მხრივ ამ ნაწილში 2023 წლის მონაცემებს ეყრდნობა, ევროკავშირის თითქმის ყველა წევრ სახელმწიფოში ქვეყნდება თითოეული ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.[33] მითითებული დოკუმენტი ქულების მიხედვით აფასებს ევროკავშირის თითოეულ წევრ სახელმწიფოში სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების საკითხს და ამ ნაწილში ის ძირითადად მხედველობაში იღებს იმას, თუ რა მასშტაბით/ფარგლებით არის ხელმისაწვდომი გადაწყვეტილებები ფართო საზოგადოებისთვის. კერძოდ, მეთოდოლოგიური განმარტების თანახმად, ქულათა ჯამური ოდენობის მაქსიმუმია 9 (ცხრა).[34] ქულები კი შესაბამისი იურისდიქციის სასამართლო სისტემებს შემდეგი პრინციპით ენიჭება:[35]

- თითოეულ სასამართლო ინსტანციასთან მიმართებით ერთი ქულა იწერება იმ შემთხვევაში თუ ხელმისაწვდომია სამოქალაქო/კომერციულ, ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ საქმეებზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება; (შესაბამისი ქულა იწერება თითოეულ სამართლებრივ მიმართულებასა და ინსტანციასთან მიმართებით ცალ-ცალკე);
- თითოეულ სასამართლო ინსტანციასთან მიმართებით 0,75 ქულა იწერება იმ შემთხვევაში თუ ხელმისაწვდომია სამოქალაქო/კომერციულ, ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების 50%-ზე მეტი; (შესაბამისი ქულა იწერება თითოეულ სამართლებრივ მიმართულებასა და ინსტანციასთან მიმართებით ცალ-ცალკე);
- თითოეულ სასამართლო ინსტანციასთან მიმართებით 0,5 ქულა იწერება იმ შემთხვევაში თუ ხელმისაწვდომია სამოქალაქო/კომერციულ, ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების 50%-ზე ნაკლები. (შესაბამისი ქულა იწერება

[32] იქვე, გვ. 39.
[33] იქვე, გვ. 39.
[34] იქვე, გვ. 39
[35] იქვე, გვ. 39

თითოეულ სამართლებრივ მიმართულებასა და ინსტანციასთან მიმართებით ცალ-ცალკე).

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, 2023 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, სასამართლო გადაწყვეტილებებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, შემდეგი ქულები მიენიჭათ:[36]

1. 9 (მაქსიმალური) ქულა განესაზღვრა 4 წევრ სახელმწიფოს;
2. 9 ქულაზე ნაკლები, მაგრამ რვა ან/და რვაზე მეტი - 6 წევრ სახელმწიფოს;
3. 8 ქულაზე ნაკლები, მაგრამ შვიდი ან/და შვიდზე მეტი - 3 წევრ სახელმწიფოს;
4. 7 ქულაზე ნაკლები, მაგრამ ექვსი ან/და ექვსზე მეტი - 10 წევრ სახელმწიფოს;
5. 6 ქულაზე ნაკლები, მაგრამ ოთხზე მეტი - 4 წევრ სახელმწიფოს.

ამ მონაცემების მიხედვით, ევროპის კავშირის 27 წევრი სახელმწიფოდან 23-ს მინიჭებული აქვს არანაკლებ 6 ქულა, რაც მიუთითებს ზოგადად ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ სასამართლო აქტების საჯაროობის საკმაოდ მაღალ მაჩვენებელზე.

ევროკომისიის დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს იმ ინდიკატორების ჩამონათვალს, რომელთა მიხედვითაც ფასდება ღონისძიებები კომპიუტერული მოწყობილობის/პროგრამისთვის კითხვადი/დამუშავებადი (machine-readable) გადაწყვეტილებების გამოსაქვეყნებლად.[37] ამ თვალსაზრისით შეფასებას ექვემდებარება როგორც სამოქალაქო/კომერციულ, ასევე ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების გამოქვეყნების საკითხი.[38] კერძოდ, ევროკომისია ამ ასპექტის შეფასებისას შემდეგ ინდიკატორებს იყენებს:[39]

[36] იქვე, გვ. 39
[37] იქვე, გვ. 40.
[38] იქვე, გვ. 40.
[39] იქვე, გვ. 40.

- გადაწყვეტილებებისა და მათთან დაკავშირებული მეტამონაცემების (metadata) ჩამოტვირთვა/გადმოწერა უფასოა მონაცემთა ბაზის ან სხვა ავტომატური საშუალებით;
- ანონიმიზაციის/ფსევდონიმიზაციის პროცესს ეხმარება ალგორითმი;
- არსებობს წესები იმის დასადგენად, ონლაინ გამოქვეყნებული გადაწყვეტილებით გამოვლინდა თუ არა პერსონალურ მონაცემები;
- გადაწყვეტილებებს ახლავს მასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე (მეტამონაცემები) ციტატები და მითითებები ეროვნულ ან/და ევროკავშირის სამართალზე ან სასამართლო პრაქტიკაზე;
- გადაწყვეტილებებს ახლავს მასთან დაკავშირებული/ასოცირებული ინფორმაცია (მეტამონაცემები) საკვანძო სიტყვებზე, გადაწყვეტილების თარიღზე და სხვა;
- გადაწყვეტილებებს ენიჭება ევროპული პრეცედენტული სამართლის იდენტიფიკატორი (ECLI);
- გადაწყვეტილებები მოდელირებულია იმ სტანდარტის მიხედვით, რომელიც შესაძლებლობას ქმნის კომპიუტერული მოწყობილობის/პროგრამის მიერ კითხვას/დამუშავებას;
- ვებგვერდი ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისთვის უსასყიდლოდ.

ამ ღონისძიებების შეფასების შედეგად, ევროკომისია მიუთითებს, რომ თითოეულ წევრ სახელმწიფოში არსებობს სულ მცირე რამდენიმე ღონისძიება სამოქალაქო/კომერციულ, ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ საქმეებთან მიმართებით, თუმცა მნიშვნელოვანი ვარიაციებით.[40] ევროკომისია აღნიშნავს, რომ ზოგადად შეინიშნება მზარდი ტენდენცია ღონისძიებების დანერგვის მიმართულებით, განსაკუთრებით, მაგალითად, გადაწყვეტილებების უსასყიდლოდ ჩამოტვირთვის/გადმოწერის, ალგორითმის გამოყენებით ანონიმიზაციის/ფსევდონიმიზაციის თვალსაზრისით.[41]

[40] იქვე, გვ. 43.
[41] იქვე, გვ. 43.

2. სასამართლო აქტების გამოქვეყნება საერთო სასამართლოებში - საკითხის ნორმატიული მოწესრიგება ეროვნული კანონმდებლობით

ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის განსაზღვრული პრიორიტეტების აღსრულების ფარგლებში, პარლამენტმა მხარი დაუჭირა ცვლილებების შეტანას „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში, რის შედეგადაც ნორმატიულ დონეზე სასამართლო აქტების გამოქვეყნების საკითხი ახლებურად მოწესრიგდა.

საყურადღებოა, რომ საკანონმდებლო დონეზე სასამართლო აქტების გამოქვეყნების საკითხის ახლებურად განსაზღვრამდე, ზოგადად სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის საკითხებზე დისკუსია საქართველოში წლების განმავლობაში მიმდინარეობდა, ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების უზრუნველყოფა არაერთი დოკუმენტის შემადგენელი ნაწილი გახდა.

წინამდებარე თავის მიზანს წარმოადგენს, მოვლენათა იმ ქრონოლოგიის წარმოჩენა, რომელიც წინ უძღოდა 2023-2024 წლების საკანონმდებლო ცვლილებებს და არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების შეფასება.

2.1. სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ვალდებულება ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმებში

სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ერთიანი წესის დადგენის ვალდებულებას ღია მმართველობა საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა და, ამ მიმართულებით, წამყვან დაწესებულებად მოიაზრებდა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.[42] სასამართლო გადაწყვეტილებების საჯაროობის უზრუნველყოფის ვალდებულება დადგინდა სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულებისა და გამჭირვალობის ამაღლების მიზნით, ასევე მაღალი საზოგადოებრივი

[42] ღია მმართველობა საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა, ვალდებულება 10, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

ინტერესის გათვალისწინებითა და საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად.[43]

ამ წლების სამოქმედო გეგმის თანახმად, სამუშაო ჯგუფის მიერ უნდა შემუშავებულიყო პროექტი სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ერთიანი წესების ძირითადი მიმართულებების და პრინციპების დადგენის შესახებ.[44] აღნიშნული პროექტი უნდა წარდგენილიყო დასამტკიცებლად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინაშე.[45] სამოქმედო გეგმის მიხედვით, ინდიკატორად განისაზღვრა პერსონალური მონაცემების დაფარვის ფორმით სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ერთიანი წესის დანერგვა.[46]

საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების საძიებო სისტემის შექმნა და ერთიან ბაზაში გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ვალდებულება ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმაშიც აისახა, რომელიც საქართველოს მთავრობის დადგენილებით იქნა დამტკიცებული.[47] სამოქმედო გეგმაში ჩაიწერა, რომ გადაწყვეტილებების პროაქტიული ხელმისაწვდომობა გამჭვირვალე სასამართლო სისტემის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი და წინაპირობაა.[48] დოკუმენტით, ასევე, გამოიკვეთა სამართალწარმოების პროცესის შესახებ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ერთიანი სტანდარტის არსებობის მნიშვნელობა.[49]

სასამართლო გადაწყვეტილებების პროაქტიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ღია მმართველობა საქართველოს 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმაშიც აისახა.[50] მოსალოდნელ შედეგად სამოქმედო გეგმაში მითითებულია შემდეგი - ყველა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებების სრული დოკუმენტი (პერსონალური მონაცემების დაცვით)

---

[43] იქვე.
[44] იქვე.
[45] იქვე.
[46] იქვე.
[47] ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა, ვალდებულება 9, გვ. 17-18, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.
[48] იქვე, გვ. 17.
[49] იქვე, გვ. 17.
[50] ღია მმართველობა საქართველოს 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა, გვ. 19, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

ქვეყნდება პროაქტიულად, მათ შორის, ღია ფორმატში, ხოლო პასუხისმგებელ უწყებად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო განისაზღვრა.[51]

ვალდებულების მოკლე აღწერაში მითითებულია, რომ „ვალდებულების ფარგლებში „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა დაცვით პროაქტიულად გამოქვეყნდება საერთო სასამართლოების მიერ ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტების სრული ტექსტი დეპერსონალიზებული სახით, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. გასათვალისწინებელია, რომ სასამართლო აქტი მოიცავს საქართველოს საერთო სასამართლოს მიერ გამოტანილ ნებისმიერ გადაწყვეტილებას, მათ შორის, ისეთ გადაწყვეტილებას, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება.”[52] საგულისხმოა, რომ ღია მმართველობა საქართველოს 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 დეკემბრის დადგენილებით,[53] მაშინ როდესაც კანონმდებლობა სასამართლო აქტების გამოქვეყნების წინაპირობად შესაბამის საქმეზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას განსაზღვრავდა.

2.2. ნორმატიული მოწესრიგება 2023-2024 წლების საკანონმდებლო ცვლილებებამდე

გადაწყვეტილებების ერთიანი რეესტრის შექმნისა და რეესტრში გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ვალდებულება პირველად ნორმატიულ დონეზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კანონქვემდებარე აქტით

[51] იქვე, გვ. 19.
[52] იქვე, გვ. 15.
[53] საქართველოს მთავრობის დადგენილება №555, 2023 წლის 29 დეკემბერი, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

დადგინდა 2016 წელს,[54] ხოლო მოგვიანებით, ჩანაწერი გაჩნდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში.[55]

2017 წელს, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლს დაემატა 3^1 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ღია სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება მთლიანად უნდა გამოქვეყნებულიყო სასამართლოს ვებგვერდზე, ხოლო დახურულ სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების შემთხვევაში სასამართლოს ვებგვერდზე ამ გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი ექვემდებარებოდა გამოქვეყნებას. სასამართლო გადაწყვეტილებებში შეტანილი პირის პერსონალური მონაცემების გამჟღავნების საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო კანონის შესაბამისად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ხსენებული ცვლილების მიღებამდე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტით დარეგულირდა სასამართლოს გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესი.[56] სწორედ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ამ კანონქვემდებარე აქტით იყო განსაზღვრული გადაწყვეტილებების საძიებო სისტემაში განთავსების ვადა - სასამართლოს მიერ მხარეებისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გაგზავნიდან არაუგვიანეს 1 თვე.[57]

ვებგვერდ ecd.court.ge-ზე საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკა ჯამში 1 წელიც არ გაგრძელებულა.

---

[54] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N1/250 გადაწყვეტილება „საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“.

[55] „საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონი, 8 თებერვალი, 2017 წელი.

[56] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა: პროგრესი და საკვანძო გამოწვევები, 2024, გვ. 32-33, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

[57] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N1/250 გადაწყვეტილების „საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

2020 წლის პირველი მაისიდან სასამართლოს გადაწყვეტილებების დაშტრიხული ტექსტების გამოქვეყნება სრულად შეწყდა.[58]

2.3. 2023-2024 წლების საკანონმდებლო ცვლილებები

ერთიან საძიებო სისტემაში გადაწყვეტილებების გამოქვეყნების შეწყვეტამ, საჯარო ინფორმაციის სახით სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემის თვალსაზრისით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაჭიანურებულმა აღსრულებამ სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საკითხი კვლავ აქტუალური გახადა და ის ჯერ ე.წ. „შარ მიშელის შეთანხმებაში", ხოლო შემდგომ კი ევროკავშირის მიერ განსაზღვრული 12 პრიორიტეტის აღსრულების ფარგლებში მოექცა.[59]

გარკვეული პერიოდი, სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის თემაზე მუშაობის მიმართულებით პარლამენტში პროგრესი არ ყოფილა, თუმცა პარლამენტმა კანონპროექტზე მუშაობა განაახლა 2022 წელს, ევროკავშირის 12 პრიორიტეტის აღსრულების ფარგლებში.[60] მიუხედავად იმისა, რომ ინიცირებული კანონპროექტი დიდწილად საჯარო ინფორმაციის სახით სასამართლო აქტების გაცემის საკითხს ეხებოდა,[61] საბოლოო ჯამში, 2023 წლის 13 ივნისს მიღებული ცვლილებები სასამართლო აქტების პროაქტიული გამოქვეყნების ასპექტებსაც შეეხო.

2023 წლის 13 ივნისის ცვლილებებით დამკვიდრდა სასამართლოს აქტების ღიაობის ზოგადი წესი, დადგინდა არა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებების, არამედ ზოგადად სასამართლო აქტების პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება. მიუხედავად დადებითი ცვლილებისა, გამოწვევად დარჩა სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და სხვა აქტებზე დროული წვდომის მოპოვება, რამდენადაც სასამართლო აქტების

[58] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა: პროგრესი და საკვანძო გამოწვევები, 2024, გვ. 31, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.
[59] იქვე, გვ. 5.
[60] იქვე, გვ. 15.
[61] კანონპროექტი „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე," ინიცირებული ვერსია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

დაშტრიხული ტექსტის გამოქვეყნების წინაპირობად იქცა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების ძალაში შესვლა.[62] ცვლილებების ამოქმედების თარიღად 2024 წლის 1 იანვარი განისაზღვრა.

სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის შესახებ 2023 წელს მიღებული ახალი საკანონმდებლო რეგულაცია შეფასდა ასევე საქართველოს შესახებ ევროკომისიის მიერ 2023 წლის 8 ნოემბერს გამოქვეყნებული ანგარიშით. კერძოდ, მართლმსაჯულების სისტემის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით მსჯელობისას, ევროკომისიამ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ როგორც საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის გზით, ასევე გამოქვეყნების შემთხვევაში, გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ მას შემდეგ რაც დასრულდება საქმის განხილვა, რასაც, შეიძლება, წლები დაჭირდეს.[63] ევროკომისიამ მიუთითა ამ პროცესის ევროპულ სტანდარტებთან და ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან შესაბამისობაში მოყვანის საჭიროებაზე.[64]

სასამართლო აქტების პროაქტიული გამოქვეყნების ახალი წესი ძალაში შევიდა 2024 წლის პირველ იანვარს, თუმცა რეგულირების ამოქმედების მიუხედავად, სასამართლო აქტებზე ხელმისაწვდომობა პრაქტიკულ დონეზე კვლავ არ იქნა უზრუნველყოფილი, ელექტრონულ პორტალზე არცერთი გადაწყვეტილება არ გამოქვეყნებულა.[65]

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ივნისში მხარდაჭერილი ცვლილებები ძალაში არ იყო შესული, 2023 წლის სექტემბერში, პარლამენტმა ვენეციის კომისიას შესაფასებლად გაუგზავნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესატანი ახალი ცვლილებების პროექტი,[66] რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, განსხვავებულად აწესრიგებდა სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის საკითხს. 2023 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებულ დასკვნაში კომისია მიესალმა ცვლილებების პროექტს, რამდენადაც ის

---

[62] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა: პროგრესი და საკვანძო გამოწვევები, 2024, გვ. 17, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

[63] ევროკომისიის 2023 წლის 8 ნოემბრის ანგარიში საქართველოს შესახებ, გვ. 24, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

[64] იქვე.

[65] იქვე, გვ. 17, ასევე, ecd.court.ge 2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით.

[66] Venice Commission, Georgia - Draft amendments to the Organic Law of Georgia on Common Courts, 2023, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

ითვალისწინებდა სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობას მათი მიღების და არა კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან.[67] თუმცა ვენეციის კომისიამ ასევე აღნიშნა, რომ შემდგომი დაკვირვება აჩვენებს თუ რამდენად ეფექტიანი იქნება აღნიშნული ცვლილებები და იქნება თუ არა სასამართლო აქტებზე ხელმისაწვდომობა თავისუფალი პრაქტიკული ბარიერებისგან.[68]

2024 წლის 29 მაისს, პარლამენტმა მხარი დაუჭირა ცვლილებებს, რომლითაც ნორმატიულ დონეზე გაუმჯობესდა სასამართლო აქტების პროაქტიული გამოქვეყნების წესი და დადგინდა სასამართლო აქტის დეპერსონალიზებული ტექსტის გამოქვეყნების ვალდებულება ამ აქტის მიღების შემდეგ.[69] ორგანული კანონიდან გაქრა ის ჩანაწერი, რომელიც სასამართლო აქტზე წვდომას საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების ძალაში შესვლას უკავშირებდა და დაუსაბუთებლად აჭიანურებდა მოლოდინის პროცესს. შესაბამისად, უახლესი ცვლილებებით აღმოიფხვრა მნიშვნელოვანი საკანონდებლო ბარიერი, რომელიც დროში გაახანგრძლივებდა სასამართლო აქტების პროაქტიულ გამოქვეყნებას.

2024 წლის ცვლილებების თანახმად, „სასამართლო აქტი არის საქართველოს საერთო სასამართლოს მიერ გამოტანილი ნებისმიერი გადაწყვეტილება, მათ შორის, ისეთი გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება" და ის უნდა გამოქვეყნდეს „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვებგვერდზე".[70] აღნიშნული ცვლილება იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ სასამართლო აქტების გამოქვეყნება შესაძლოა ecd.court.ge-სგან განსხვავებულ ელექტრონულ პორტალზე გაგრძელდეს. ასევე, ჩნდება რისკი ყველა სასამართლო აქტი არ გამოქვეყნდეს ერთიან ბაზაში, რაც გაართულებს სასამართლო აქტებზე ხელმისაწვდომობის პროცესს. აღნიშნული განსაკუთრებით გართულდება, თუკი აქტები გამოქვეყნდება მხოლოდ კონკრეტული აქტის მიმღები სასამართლოს ვებგვერდებზე.

---

[67] Venice Commission, Follow-up Opinion to Previous Opinions concerning the Organic Law on Common Courts, 2023, პარ. 46, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.
[68] იქვე, პარ. 46.
[69] „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის მე-13 მუხლის 3¹ პუნქტი.
[70] იქვე.

ამავდროულად, ორგანული კანონის მოქმედი რედაქციით,[71] სასამართლო აქტის ტექსტის დეპერსონალიზაციაში ნაგულისხმევია მასში მითითებული შემდეგი ინფორმაციის სრული დეპერსონალიზაცია:

ა) პირის ვინაობა, სახელწოდება, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, საიდენტიფიკაციო ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი, სამუშაო ადგილისა და დაკავებული თანამდებობის სახელწოდებები;

ბ) პირის რეგისტრაციის ადგილის, ადგილსამყოფლის, საცხოვრებელი ადგილისა და სამუშაო ადგილის მისამართები;

გ) პირის ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;

დ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განსაზღვრული სხვა სახის ისეთი ინფორმაცია, რომელიც პერსონალურ მონაცემებს განეკუთვნება. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით უცნობია, განსაზღვრა თუ არა იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სხვა ისეთი ინფორმაცია, რომელიც უნდა დაექვემდებაროს დეპერსონალიზაციას.

[71] იქვე.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანონისმიერი ვალდებულების სისტემატური უგულებელყოფა

მიუხედავად იმისა, რომ წლებია სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნების ვალდებულებას ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს, ეს ვალდებულება სისტემატურად უგულებელყოფილია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ.

ვებგვერდ ecd.court.ge-ზე 2019 წელს დაწყებული საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკა ჯამში 1 წელიც არ გაგრძელებულა და დღემდე უცნობია ის სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც 2020 წლის მაისიდან სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნება გადაწყვეტილებების ერთიან საძიებო სისტემაში სრულად შეწყდა.

ამ თავის მიზანს წარმოადგენს მოვლენათა იმ ქრონოლოგიის წარმოჩენა, რომელიც შეეხება პრაქტიკაში სასამართლო აქტების გამოქვეყნების ასპექტებს და რამდენიმე კრიტერიუმის გამოყოფა/შეფასება, რომლებსაც ევროპულ სტანდარტებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით IDFI მიიჩნევს კრიტიკულად მნიშვნელოვანად საქართველოში სასამართლო აქტების პროაქტიული გამოქვეყნების პლატფორმის გამართვისთვის და შემდგომი განვითარებისთვის ნიადაგის შესაქმნელად.

3.1. საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების ერთიანი საძიებო სისტემა

2019 წელს, სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის გაზრდისა და სასამართლო გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნა საქართველოს სასამართლოების საქმის წარმოების სისტემის ვებგვერდი ecd.court.ge[72] და ამ პერიოდიდანვე დაიწყო საძიებო სისტემაში გადაწყვეტილებების პროაქტიული გამოქვეყნება პერსონალური მონაცემების

[72] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, „დღეიდან მომხმარებელს საშუალება აქვს სასამართლო გადაწყვეტილებებს ახალ ვებგვერდზე გაეცნოს", 2019, განცხადება ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

დაშტრიხვით.[73] ვებგვერდი ოთხი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი განყოფილებისგან შედგება და მომხმარებელს უნდა სთავაზობდეს ისეთ სერვისებს როგორიცაა: სასამართლოების გადაწყვეტილებების დეპერსონალიზებული ტექსტების ძიება/გაცნობა; სასამართლო აქტების ძიება უნიკალური ნომრის (შტრიხ-კოდის) მეშვეობით, სადაც მხარეთა პერსონალური და საიდენტიფიკაციო მონაცემები არ არის დაფარული; სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული საჯარო შეტყობინებების გაცნობა და სასამართლოს სხდომების განრიგი. დამატებით, ვებგვერდს აქვს ველი „ჩემი კაბინეტი", რომლის მეშვეობითაც, შესაბამისი ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში, კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტების გაცნობა არის შესაძლებელი.

ecd.court.ge-ზე საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების პროაქტიული გამოქვეყნება 2019 წელს იმ დათქმით დაიწყო, რომ საძიებო სისტემას ამ პერიოდამდე მიღებული გადაწყვეტილებებიც დაემატებოდა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საკუთარ ვებგვერდზე უთითებდა,[74] რომ ელექტრონულ ბაზას ეტაპობრივად დაემატებოდა წინა წლებში მიღებული გადაწყვეტილებები, თუმცა 2018 წლამდე მიღებული აქტები ბაზაში არ იძებნება.

ვებგვერდ ecd.court.ge-ზე საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკა ჯამში 1 წელიც არ გაგრძელებულა. 2020 წლის პირველი მაისიდან სასამართლოს გადაწყვეტილებების დაშტრიხული ტექსტების გამოქვეყნება სრულად შეწყდა.[75] ecd.court.ge-ზე გადაწყვეტილებების პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკის შეწყვეტა დაემთხვა იმ პერიოდს,[76] როდესაც საქართველოს საკონსტიტუციო

---

[73] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა: პროგრესი და საკვანძო გამოწვევები, 2024, გვ. 31, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

[74] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, „დღეიდან მომხმარებელს საშუალება აქვს სასამართლო გადაწყვეტილებებს ახალ ვებგვერდზე გაეცნოს", 2019, განცხადება ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

[75] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა: პროგრესი და საკვანძო გამოწვევები, 2024, გვ. 31, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

[76] საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლისა და მე-6 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტების სრული ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემას

სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად გამოცხადდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის ცალკეული მუხლების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ზღუდავდა ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტების სრული ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემას.[77] საყურადღებოა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეეხება სასამართლოს აქტების პროაქტიულად გამოქვეყნებას ან ვებგვერდზე განთავსებას. ამდენად, გაურკვეველია, რა გახდა დეპერსონალიზებულ გადაწყვეტილებათა გამოქვეყნების შეწყვეტის საფუძველი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვებგვერდ ecd.court.ge-ის შექმნამდე და სამივე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნების პრაქტიკის დანერგვამდეც, საქართველოს უზენაესი სასამართლოს შემაჯამებელი სასამართლო აქტები წლების განმავლობაში ქვეყნდებოდა[78] უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე.[79] ერთიან საძიებო სისტემაში გადაწყვეტილებების გამოქვეყნების პრაქტიკის შეწყვეტის შემდეგაც უზენაესი სასამართლო განაგრძობდა უზენაესი სასამართლოს შემაჯამებელი აქტების გამოქვეყნებას.[80] თუმცა, უზენაესი სასამართლოს შემაჯამებელი აქტების გამოქვეყნება ვერ ავსებს იმ დანაკლისს, რომელიც წარმოიშვა საერთო საძიებო სისტემაში გადაწყვეტილებების გამოქვეყნების შეწყვეტით. მხედველობაშია მისაღები სულ მცირე ის გარემოებები, რომ გარკვეული კატეგორიის საქმეებზე საბოლოო ინსტანციას სააპელაციო სასამართლო წარმოადგენს, ამავდროულად შესაძლებელია, საქმე პირველი ან/და მეორე

ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 2020 წლის პირველი მაისიდან. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

[77] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა: პროგრესი და საკვანძო გამოწვევები, 2024, გვ. 32, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

[78] აქვე უნდა განიმარტოს, რომ წინამდებარე დოკუმენტის მიზანს არ წარმოადგენდა შეეფასებინა, თუ რამდენად სრულყოფილად აქვეყნებს უზენაესი სასამართლო გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, ამ ანგარიშის მიზნებისთვის, გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ფაქტზე მითითება, არ გულისხმობს იმის შეფასებას, ქვეყნდება თუ არა სრულყოფილად უზენაესი სასამართლოს მიერ თავის ვებგვერდზე გადაწყვეტილებები.

[79] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების საძიებო სისტემა ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

[80] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა: პროგრესი და საკვანძო გამოწვევები, 2024, გვ. 31-32, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

ინსტანციის სასამართლოში დასრულდეს და არ იქნას გამოყენებული გასაჩივრების უფლებამოსილება.

2023 და 2024 წლებში მიღებული საკანონდებლო ცვლილებების მიუხედავად, 2020 წლის 1-ლი მაისის შემდეგ ecd.court.ge-ის ელექტრონულ პორტალზე პროაქტიულად არცერთი სასამართლო აქტი არ გამოქვეყნებულა - 2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით სასამართლოების საქმისწარმოების სისტემის ვებგვერდზე ბოლო სასამართლო აქტის განთავსება ისევ 2020 წლის 30 აპრილით თარიღდება.[81]

2024 წლის 17 სექტემბერს IDFI-მ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განცხადებით[82] მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოითხოვა შემდეგი ინფორმაცია:

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N1/250 გადაწყვეტილების - „საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ - მოქმედი რედაქციის ასლი;

2. არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია იმ ღონისძიებების/ზომების შესახებ რომლებიც, უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში, გაატარა საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის მე-3[1] პუნქტით გათვალისწინებული სასამართლო აქტების გამოქვეყნების ვალდებულების უზრუნველსაყოფად;

3. ინფორმაცია იმის შესახებ განსაზღვრულია თუ არა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის მე-3[1] პუნქტით გათვალისწინებული ვებგვერდი, რომელზეც უნდა გამოქვეყნდეს სასამართლო აქტები; ამავდროულად მოთხოვნილ იქნა ყველა ის

[81] ვებგვერდი ecd.court.ge-ს გადაწყვეტილებების საძიებო სისტემა 2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით.
[82] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) 2024 წლის 17 სექტემბრის განცხადება N09/24-006.

სამართლებრივი აქტი/დოკუმენტი, რომელშიც იდენტიფიცირებულია შესაბამისი ვებგვერდი და რომელიც არეგულირებს ამ საკითხს;

4. არსებობის შემთხვევაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის მე-3[1] პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტის, ინსტრუქციის ან სხვა სახის დოკუმენტის ასლი, რომელიც ასახავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განსაზღვრულ სხვა სახის ისეთ ინფორმაციას, რომელიც პერსონალურ მონაცემებს განეკუთვნება.

2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით IDFI-ს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ მიუღია.

3.1.1. IDFI-ს მიმდინარე სასამართლო დავა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინააღმდეგ

IDFI-მ 2023 წლის აპრილში, განცხადებით[83] მიმართა სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტს და მოითხოვა სასამართლო აქტების პროაქტიული გამოქვეყნების აღდგენა. უფრო კონკრეტულად, IDFI-მ განცხადებით მოითხოვა ვებგვერდ ecd.court.ge-ზე სასამართლო აქტების გამოქვეყნების განახლება და ამ დრომდე გამოუქვეყნებელი აქტების გამოქვეყნების უზრუნველყოფა. თუმცა, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა IDFI-ს წერილობით უპასუხა და განუმარტა, რომ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2019 წლის 7 მარტის №17 ბრძანებით სამუშაო ჯგუფს დაევალა მხოლოდ საქმისწარმოების ელექტრონული საძიებო სისტემის შექმნისთვის აუცილებელი პროგრამული მოდულების შექმნა და ის მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს IDFI-ს მოთხოვნა.[84] საერთო სასამართლოების დეპარტამენტს განცხადება უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსათვის არ გადაუგზავნია.

IDFI-მ იგივე მოთხოვნით მალევე მიმართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, მაგრამ მოთხოვნა და შემდგომ ადმინისტრაციული საჩივარი რეაგირების გარეშე

[83] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI), 2023 წლის 7 აპრილის განცხადება N20230404.
[84] სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის 2023 წლის 20 აპრილის წერილი N06-3368.

დარჩა. 2023 წლის აგვისტოში, IDFI-მ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში და მოითხოვა საბჭოსთვის სასამართლოს აქტების პროაქტიულად გამოქვეყნების განახლების დავალება, ასევე, 2020 წლის პირველი მაისიდან გამოუქვეყნებელი აქტების პროაქტიულად გამოქვეყნების უზრუნველყოფა.[85]

IDFI საბჭოს წინააღმდეგ შეტანილ სარჩელში ასაბუთებს, რომ:

1. სასამართლოს გადაწყვეტილებათა გამოუქვეყნებლობა წარმოადგენს ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებაში არალეგიტიმურ და არაპროპორციულ ჩარევას;

2. სასამართლო აქტების გამოქვეყნების შეჩერება ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპსა და სამართლიანი სასამართლოს უფლებას, არღვევს საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის მე-3[1] პუნქტს და თავად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2016 წელს მიღებულ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს.

თავდაპირველად საქმე განაწილდა მოსამართლე ლიელა ფოლადაშვილზე, ხოლო თითქმის ერთი წლის შემდგომ საქმე გადაეწერა მოსამართლე ნინო ბუაჩიძეს. 2024 წლის 30 სექტემბრის მდგომაროებით ამ საქმეზე ერთი სხდომაც არ ჩანიშნულა.

3.2. საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების საძიებო სისტემის მახასიათებლები

ზოგადად, სასამართლო აქტების გამოქვეყნების პლატფორმის, ვებგვერდის, მთავარია მიზანია უზრუნველყოს სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა ფართო საზოგადოებისთვის იმ ფორმით, რომ მიღწეულ იქნეს ლეგიტიმური მიზნები, რომლებსაც სასამართლო აქტების პროაქტიული გამოქვეყნება

[85] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა: პროგრესი და საკვანძო გამოწვევები, 2024, გვ. 34, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

ემსახურება. სამართლებრივი უსაფრთხოება/განჭვრეტადობა ამ მიზნებს შორის უპირველესია, თუმცა ბუნებრივია ეს მიზანი ვერ იქნება მიღწეული, თუ პროაქტიული გამოქვეყნების პლატფორმა არ იქნება ორგანიზებული ან/და ორგანიზებადი. კერძოდ, ათიათასობით დოკუმენტის ერთ სივრცეში მოქცევა ორგანიზებული კატალოგის გარეშე ვერ უზრუნველყოფს ლეგიტიმური მიზნების მიღწევას, ვინაიდან სუბიექტებს არ ექნებათ მათთვის საინტერესო სამართლებრივი განმარტებების, პრეცედენტების თუ სხვა სამართლებრივ საკითხებზე ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა ან ამისთვის არაგონივრული რესურსი დახარჯვა მოუწევთ. მარტივად, პროაქტიული გამოქვეყნების პლატფორმა არ უნდა დაემსგავსოს სასამართლო გადაწყვეტილებების „ელექტრონულ საცავს".

აქედან გამომდინარე, დოკუმენტი ამ ნაწილში ყურადღებას ამახვილებს რამდენიმე კრიტერიუმზე, რომლებსაც IDFI მიიჩნევს კრიტიკულად მნიშვნელოვანად საქართველოში სასამართლო აქტების პროაქტიული გამოქვეყნების პლატფორმის გამართვისთვის და შემდგომი განვითარებისთვის ნიადაგის შესაქმნელად.

პლატფორმის ლეგიტიმური მოლოდინები და ადმინისტრირების განჭვრეტადი წესი - „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით პროაქტიული გამოქვეყნების ვალდებულება არსებობს. შექმნილია პლატფორმა ecd.court.ge, თუმცა ამ პლატფორმაზე არ ქვეყნდება სასამართლო აქტები. კანონმდებლობის ცალსახა მოთხოვნის მიუხედავად - გამოქვეყნდეს ყველა სასამართლო აქტი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, როგორც მართლმსაჯულების ადმინისტრირების ორგანო, უარს ამბობს საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაზე. ამავე დროს, საჯაროდ არ არის ხელმისაწვდომი სასამართლო აქტების პროაქტიულ გამოქვეყნებასთან დაკავშირებული წესები. მთლიანობაში, ორგანული კანონით გათვალისწინებული ვალდებულების აშკარა უგულებელყოფა, არამხოლოდ აქარწყლებს ყველა ტიპის ლეგიტიმურ მოლოდინს, არამედ აჩენს სამართალსუბიექტის აშკარა უნდობლობას, ზოგადად სასამართლო აქტების გამოქვეყნების პლატფორმის მართლზომიერ ადმინისტრირებასთან დაკავშირებით.

ნდობა პლატფორმაზე განთავსებული ინფორმაცის მიმართ და მისი გამოყენების შესაძლებლობა - პლატფორმის ადმინისტრირების წესები, მაგალითად, ადამიანური ან პროგრამული შეცდომების შესწორება გამოქვეყნებულ ინფორმაციაში და ა.შ. არ არსებობს ან თუ არსებობს, საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის. ამავე დროს, პლატფორმა არ იძლევა სასამართლო აქტის ჩამოტვირთვის შესაძლებლობას იმგვარად, რომ ჩამოტვირთული ფაილის/დოკუმენტის მიმღებ პირს შეეძლოს მისი ავთენტურობის (წარმომავლობის) მარტივად გადამოწმება (მაგალითად: პლატფორმაზე გენერირებულ/ატვირთულ დოკუმენტებს არ აქვთ „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული შტამპი ან სხვა ტიპის ციფრული სერტიფიკატი).

პლატფორმის არსებული კატალოგი და საძიებო ფუნქციები - როგორც უკვე აღინიშნა, პლატფორმაზე სასამართლო აქტების გამოქვეყნება შეწყვეტილია. თუმცა 2020 წლის მაისამდე გამოქვეყნებულ აქტებსა და საძიებო ფუნქციონალზე დაკვირვება მიუთითებს, რომ არსებული სისტემა მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდება. ამასთანავე, მხოლოდ გარე დაკვირვებით შეუძლებელია სისტემის ხარვეზებზე ამომწურავი დასკვნების გაკეთება თუმცა, შესაძლებელია რამდენიმე დაკვირვების გამოყოფა:



1. პლატფორმის საძიებო შესაძ-ლებლობები უკიდურესად მწირი და რიგ შემთხვევაში შეცდომაში შემყვანია. მაგალითად, სამოქალაქო სამართლის საქმეებთან მიმართებით პლატფორმა იძლევა საშუალებას მოძიებულ იქნეს აქტი დავის კატეგორიის მიხედვით, თუმცა ეს კატეგორიები, როგორც წესი, არის ფართო. რიგ შემთხვევებში ისინი შინაარსობრივად კვეთენ ერთმანეთს, ხოლო მომხმარებელს რამდენიმე კატეგორიის არჩევის შესაძლებლობა არ გააჩნია;



2. პლატფორმა იძლევა დოკუმენტის ადგილზე გაცნობის შესაძლებლობას ღია/დამუშავებადი ფორმატის ტექსტით, თუმცა ხშირად აქტის ტექსტი მომხმარებლისთვის აღქმადი არ არის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჩამოტვირთვის შემთხვევაში, დოკუმენტში აღნიშნული ტექნიკური პრობლემა თავისით სწორდება. საგულისხმოა, რომ არც ვებგვერდზე გამოქვეყნებული და არც ჩამოტვირთული ფაილი არ შეიცავს ინფორმაციას, სამართლის წყაროდ გამოყენებული საერთაშორისო თუ ადგილობრივი პრეცედენტული სამართლის შესახებ. აღნიშნულის გამოკვლევა მხოლოდ სრული აქტის წაკითხვით შეიძლება გახდეს შესაძლებელი;

3. პლატფორმაზე განთავსებული ინფორმაციის მონაცემების, მათ შორის, მეტამონაცემების სიმწირე არსებითად ართულებს და თითქმის შეუძლებელს ხდის პლატფორმაზე განთავსებული მონაცემების ავტომატურ გადამუშავებას და მათზე დაფუძნებით სამართალსუბიექტებისთვის საჭირო და სასარგებლო მონაცემებისა თუ სერვისების შექმნას.

პლატფორმის ტექნიკურ მხარეზე გარე დაკვირვებით იკვეთება, რომ პლატფორმა არ არის დაკავშირებული საერთო სასამართლოების შიდა სამართალწარმოების სისტემებთან. პლატფორმის მართვა არის სამართალწარმოების ციფრული სისტემისგან მოწყვეტილი/ალტერნატიული სამუშაო პროცესი. ამგვარი მოწესრიგება, არამხოლოდ ზრდის მართლმსაჯულების გადატვირთულობას, არამედ აყალიბებს ნოყიერ ნიადაგს არათანმიმდევრული გადაწყვეტებისთვის.

შეჯამება

სასამართლო აქტების პროაქტიული გამოქვეყნების განახლებული საკანონმდებლო მოწესრიგება, 2024 წლის 29 მაისის ცვლილებების გათვალისწინებით, არსებით ბარიერს აქტებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არ შეიცავს.

სასამართლო აქტების პროაქტული გამოქვეყნების ვალდებულება სხვადასხვა ფორმულირებით წლებია გათვალისწინებულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, თუმცა ამ ვალდებულებას იუსტიციის უმაღლესი საბჭო - საერთო სასამართლოების სისტემის ადმინისტრირების ორგანო - **არ აღასრულებს.**

ევროკავშირის მიერ განსაზღვრული 12 პრიორიტეტის აღსრულების ფარგლებში სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მოქცევა და 2023-2024 წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, სამწუხაროდ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის არ იქცა საკმარის წინაპირობად წლების განმავლობაში უგულებელყოფილი კანონისმიერი ვალდებულების შესასრულებლად.

2020 წლის 1 მაისიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ სასამართლო აქტების გამოქვეყნების შეწყვეტა სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია. სასამართლო აქტებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა მნიშვნელოვნად აფერხებს სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოებრივ ზედა-მხედველობას, არღვევს საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის მე-3[1] პუნქტით დადგენილ ვალდებულებას და წარმოადგენს კონსტიტუციით გარანტირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებაში უხეშ, არალეგიტიმურ, გაუმართლებელ და არაპროპორციულ ჩარევას.

ამავდროულად, ის საძიებო სისტემა, რომელზედაც ბოლო სასამართლო აქტის განთავსება ისევ 2020 წლის 30 აპრილით თარიღდება თავისი ტექნიკური მახასიათებლებით ვერ პასუხობს იმ მიზნებს, რომელთა გათვალისწინებითაც სასამართლო აქტების გამოქვეყნების მნიშვნელობა და საჭიროება არაერთი საერთაშორისო დოკუმენტით არის აღიარებული. თუმცა, ეს გარემოება ვერ

იქნება მიჩნეული ბოლო ოთხი წლის მანძილზე სასამართლო აქტების გამოქვეყნების შეწყვეტის საფუძვლად, ვინაიდან, ამ წლების განმავლობაში ადგილი აქვს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უმოქმედობას და კანონმდებლობის სრულად უგულებელყოფას და არა სისტემის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

IDFI მიიჩნევს, რომ სასამართლო აქტების გამოქვეყნების თვალსაზრისით პრაქტიკაში არსებული სისტემური გამოწვევების აღმოფხვრის მიზნით, საწყისს ეტაპზე:

- იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა შეწყვიტოს მოქმედი კანონმდებლობის სისტემური დარღვევა და უნდა უზრუნველყოს სასამართლო აქტების დაუყოვნებლივი გამოქვეყნება;
- ორგანული კანონით განსაზღვრულ განახლებულ მოწესრიგებასთან მიმართებით, მიღებულ უნდა იქნას სასამართლო აქტების პროაქტიული გამოქვეყნებისა და საძიებო სისტემის ფუნქციონირების წესი;
- სასამართლო აქტების საძიებო სისტემა, როგორც ტექნიკური მახასიათებლების ასევე საძიებო პარამეტრების თვალსაზრისით უნდა პასუხობდეს სასამართლო აქტების გამოქვეყნების მიზნებს და უნდა იყო მომხმარებელზე ორიენტირებული.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

ტ. შევჩენკოს ქ. 20, 0108
თბილისი, საქართველო

info@idfi.ge

+ 995 32 292 15 14

www.idfi.ge